ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

გზამკვლევი სტუდენტებისთვის

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ERASMUS+ შესახებ

Erasmus+ არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამაა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრეინინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით 2014-2020 წლებში.

Erasmus+ პროგრამის მიზანია განათლების მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ასევე, ტრეინინგები და ახალგაზრდებთან მუშაობა.

Erasmus+ აერთიანებს ევროკავშირის შვიდ პროგრამას განათლების, ტრეინინგისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით, ასევე, ამ ჩამონათვალს პირველად დაემატება სპორტის მხარდაჭერის პროექტები.

Erasmus+ ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალური პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას განათლების, ტრეინინგებისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციების თანამშრომლობის მიმართულებით, რაც გახდება დამაკავშირებელი ხიდი განათლების სფეროსა და შრომის ბაზარს შორის.

საერთაშორისო კრედიტ მობილობა

საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM) - მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის. გაცვლითი პროგრამები ხორციელდება საქართველოს და ევროპის (პროგრამის ქვეყნების) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში. ანუ თუ თქვენი უნივერსიტეტი, რომელშიც ეხლა საქართველოში სწავლობთ, არაა ჩართული Erasmus+ ICM პროგრამაში, თქვენ ინდივიდუალურ დონეზე ამ პროგრამის კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებთ.

ხშირად დასმული კითხვები ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამის შესახებ

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რომელი სტრუქტურული ერთეული უწევს კოორდინირებას ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამას?

   ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. ბნსუ, პირველი კორპუსი, ოთახი 18.

   ელ-ფოსტა: erasmusplus@bntu.edu.ge

   international@bntu.edu.ge

2. სად შეიძლება ინფორმაციის მოძიება ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლევადიანი სასწავლო სტიპენდიების შესახებ?

   ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მთავარ ვებ-გვერდსა www.bntu.edu.ge და ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში.

3. ტარდება თუ არა საინფორმაციო შეხვედრები ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში არსებული შემოთავაზებების შესახებ?

   დიახ, ტარდება - ოქტომბერსა და მარტში.

4. რა ხანგრძლივობით არის შესაძლებელი ერაზმუს+ პროგრამის სასწავლო მობილობით სარგებლობა?

   მინიმუმ 3, ხოლო მაქსიმუმ 12 თვის ვადით სწავლის ერთ საფეხურზე.

5. ბაკალავრიატის საფეხურის რომელი სემესტრის სტუდენტებისთვის არის შესაძლებელი კონკურსში მონაწილეობა?

   მე-3, მე-4, მე-5, მე-6.

6. მაგისტრატურის საფეხურის რომელი სემესტრის სტუდენტებისთვის არის შესაძლებელი კონკურსში მონაწილეობა?

მე-2.

7. დოქტორანტურის საფეხურის რომელი სემესტრის სტუდენტებისთვის არის შესაძლებელი კონკურსში მონაწილეობა?

1-ლი, მე-2, მე-3, მე-4.

8. შესაძლებელია თუ არა განაცხადის გაკეთება დოქტორანტურის საფეხურის მე-5 და მე-6 სემესტრის სტუდენტებისთვის?

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო ნაშრომის სირთულიდან გამომდინარე ვერ ახერხებთ 6 სემესტრში სწავლის დასრულებას და აუცილებლად გიწევთ სემესტრ(ებ)ის დამატება და ამ ინფორმაციას თქვენი ფაკულტეტი ცნობით დაგიდასტურებთ.

9. რას მოიცავს სტიპენდია?

უფასო სწავლას, ყოველთვიურ სტიპენდიასა და ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას.

10. რა არ არის დაფინანსებული სტიპენდიის ფარგლებში?

სავიზო მოსაკრებლის ღირებულება და საერთაშორისო ჯანმრთელობის დაზღვევა.

11. რამდენია ყოველთვიური სტიპენდია?

სტიპენდია გაიცემა ქვეყნების შესაბამისად. განსაზღვრულია სამი კატეგორიის ქვეყნები:

<u>I კატეგორია</u>

- დანია, ირლანდია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ლიხტენშტეინი, ნორვეგია - 850 ევრო;

<u>II კატეგორია</u>

- ბელგია, ჩეხეთი, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, ხორვატია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ისლანდია, თურქეთი - 800 ევრო;

<u>III კატეგორია</u>

- ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი - 750 ევრო.

12. რა თანხაა ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობისთვის გამოყოფილი?

მგზავრობის ღირებულება ითვლება სპეციალური კალკულატორის საშუალებით: http://ec.europa.eu/dgs/education_culture/tools/distance_en.htm და დამოკიდებულია კილომეტრების რაოდენობაზე, კერძოდ:

მანძილი (კმ)	**მგზავრობის ღირებულება (ევრო)**
100 - 499	180
500 - 1999	275
2000 - 2999	360
3000 - 3999	530
4000 - 7999	820

13. რამდენი ეტაპისგან შედგება სტიპენდიატების შესარჩევი პროცესი?

სტიპენდიების შერჩევის პროცესი შედგება 6 ძირითადი ეტაპისგან:

I ეტაპი:	ბნსუ-ს უცხო ენის ინსტიტუციონალური ტესტირება;
II ეტაპი:	დოკუმენტაციის შეგროვება სტუდენტის მიერ;
III ეტაპი:	დოკუმენტაციის გაგზავნა შესაბამის ელექტრონულ მისამართზე/ატვირთვა სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე
IV ეტაპი:	დოკუმენტაციის შემოწმება ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ
V ეტაპი:	გასაუბრება ბნსუ-ს შესარჩევ კომისიასთან
VI ეტაპი:	საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ

14. რამდენჯერ ტარდება კონკურსში მონაწილეობისთვის სავალდებულო ბნსუ-ს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?

სემესტრში ერთხელ.

15. როდის ტარდება ბნსუ-ს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?

ოქტომბერსა და მარტში.

16. რა ენებში ტარდება ბნსუ-ს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?

ინგლისურ ენაში.

17. რა დონის არის ბნსუ-ს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?

B2 დონის.

18. რა ნაწილებისგან შედგება ბნსუ-ს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?

კითხვისა და წერის. საუბრისა და მოსმენის უნარები შერჩევის მომდევნო საფეხურზე - გასაუბრების დროს - შემოწმდება.

19. როგორ ხდება ტესტირებაზე დარეგისტრირება?

სტუდენტები ტესტირებისთვის რეგისტრირდება შესაბამის ფაკულტეტზე. ფაკულტეტები უგზავნიან რეგისტრირებულ სტუდენტთა სიას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

20. რა არის ენის ინსტიტუციონალური ტესტირების მინიმალური ზღვარი?

71 ქულა მაქსიმუმი 100 ქულიდან.

21. შესაძლებელია თუ არა მიღებული ქულის გასაჩივრება?

გასაჩივრება არ არის შესაძლებელი.

22. შესაძლებელია თუ არა ნაშრომის ნახვა?

დიახ, შესაძლებელია ბნსუ-ს ენების ცენტრში.

23. სად შეიძლება ენის ტესტის ნიმუშების ნახვა?

ბნსუ-ს ვებ-გვერდზე.

24. რამდენი ხანი აქვს ენის ტესტის ქულას მოქმედების ვადა?

ერთი სასწავლო წელი.

25. სავალდებულოა თუ არა ენის ინსტიტუციონალური ტესტირების ჩაბარება ენის საერთაშორისო სერთიფიკატის ქონის შემთხვევაში?

დიახ, სავალდებულოა!

26. ენის ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, რა დოკუმენტებია საჭირო განაცხადის გასაკეთებლად?

- სააპლიკაციო ფორმის შევსებული ვერსია;
- CV-ს ევროპული ფორმატი;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ნიშნების ამონაწერი GPA-ის მითითებით;
- მოტივაციის წერილი;
- სარეკომენდაციო წერილი;
- პასპორტის ასლი;
- სასწავლო ხელშეკრულების შევსებული ვერსია;
- ბაკალავრის დიპლომის ასლი (მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში);
- მაგისტრის დიპლომის ასლი (დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში);
- წინასწარი მიღების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტიდან (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში)

27. ერთი კონკურსის ფარგლებში რამდენ უნივერსიტეტზეა განაცხადის გაკეთება შესაძლებელი?

უნივერსიტეტების რაოდენობა არ არის შეზღუდული; ყველა იმ უნივერსიტეტზე შეგიძლიათ განაცხადის გაკეთება, რომელიც თქვენი მიმართულების პროგრამებს გვთავაზობს.

28. რა ენაზე უნდა მომზადდეს სააპლიკაციო დოკუმენტები?

დოკუმენტების ძირითადი ნაწილი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე; მხოლოდ CV-ისა და მოტივაციის წერილის მომზადებაა შესაძლებელი გერმანულენოვანი,

ფრანგულენოვანი, იტალიურენოვანი და ესპანურენოვანი სტუდენტებისთვის გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე.

29. საჭიროა თუ არა თარჯიმნის მიერ ნათარგმნი დოკუმენტების წარმოდგენა და მათი ნოტარიულად დამოწმება?

დიახ, თარჯიმანს უნდა ათარგმნინოთ ფაკულტეტის მიერ ქართულ ენაზე გაცემული ცნობა, ნიშნების ფურცელი და რეკომენდაცია, რის შემდეგაც მათ ნოტარიუსს დაამოწმებინებთ.

30. საჭიროა თუ არა ფაკულტეტის მიერ ინგლისურ ენაზე გაცემული ბეჭედდასმული დოკუმენტების დამატებით დამოწმება?

არ არის საჭირო.

31. CV-ის რომელ ფორმატში მომზადებაა საჭირო?

გამოიყენეთ CV-ს ევროპული ფორმატი. ნიმუში იხილეთ ბმულზე: http://europass.cedefop.europa.eu/documents/curriculumvitae

32. მოტივაციის წერილის მომზადება ყველა უნივერსიტეტისთვის ცალ-ცალკეა საჭირო?

დიახ, მოამზადეთ ინდივიდუალური წერილები.

33. როგორი ფორმატით უნდა მომზადდეს სარეკომენდაციო წერილი?

შესაძლებელია ფაკულტეტის ბლანკის გამოყენება, რომელსაც მხოლოდ ხელმოწერით დაამოწმებს რეკომენდატორი პროფესორი, ან ჩვეულებრივი A4 ტიპის დოკუმენტზე დაბეჭდვა, რომელსაც, ხელმოწერასთან ერთად, ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმება დასჭირდება.

34. სავალდებულოა თუ არა პასპორტის წარმოდგენა სხვა სააპლიკაციო დოკუმენტებთან ერთად?

დიახ, სავალდებულოა. თუ განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე ვერ ასწრებთ დოკუმენტის აღებას, წარმოადგინეთ იუსტიციის სახლში მიღებული ქვითარი, რომელზეც მითითებულია, რომ განაცხადი გაქვთ მასზე გაკეთებული.

35. სად უნდა მოვიძიო ევროპული უნივერსიტეტის საგნების ჩამონათვალი?

მასპინძელი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

36. რომელი სემესტრის საგნები უნდა შეირჩეს მასპინძელი უნივერსიტეტის ვებგვერდიდან?

თუ განაცხადის გაკეთება ხდება შემოდგომის სემესტრში გაზაფხულის სემესტრისთვის, საგნებს არჩევთ მომდევნო გაზაფხულის სემესტრის ან წინა სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საგნების ჩამონათვალიდან. თუ განაცხადის გაკეთება ხდება გაზაფხულის სემესტრში მომდევნო სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, საგნების არჩევა ხდება მომდევნო წლის შემოდგომის სემესტრის ან იმავე სასწავლო წლის წინა (შემოდგომის) სემესტრის საგნებიდან.

37. როგორ ხდება საგნების არჩევა?

მასპინძელი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 37-ე კითხვის პასუხის შესაბამისად, პოულობთ თქვენს სასწავლო მიმართულებასთან მაქსიმალურად ახლოს მდგომი პროგრამის საგნების ჩამონათვალს და ახდენთ მათ ჩანიშვნას.

38. ვისთან ვათანხმებთ საგნების თავსებადობას?

საგნების თავსებადობას ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანატის წარდგენით.

39. ვინ აწერს სასწავლო ხელშეკრულებას ხელს?

უნივერსიტეტის რექტორი.

40. ვინ მიეთითება მშობლიური უნივერსიტეტის საკონტაქტო პირად სასწავლო ხელშეკრულების პირველ გვერდზე?

საკონტაქტო პირად ეთითება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

Contact Person Name: Mr George Gabedava

Contact Person Position: Head of International Relations Service

Contact email/cell phone: international@bntu.edu.ge / +995 571 71 17 18

41. საჭიროა თუ არა სასწავლო ხელშეკრულების ბეჭდით დამოწმება?

დიახ, საჭიროა, ხელმოწერის ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმება.

42. საჭიროა თუ არა სასწავლო ხელშეკრულებების ცალ-ცალკე მომზადება თითოეული უნივერსიტეტისთვის?

დიახ, საჭიროა.

43. მაგისტრატურის საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის ნიშნების ფურცლად რა დოკუმენტი უნდა იქნეს წარმოდგენილი?

ბაკალავრის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით.

44. დოქტორანტურის საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის ნიშნების ფურცლად რა დოკუმენტი უნდა იქნეს წარმოდგენილი?

მაგისტრის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით.

45. თუ კონკურსანტი შეფასებულია განსხვავებული შეფასების სისტემით და არ აქვს GPA დათვლილი, როგორ უნდა მოახერხოს საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება?

განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის/დანართის გამცემი უნივერსიტეტის/სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა მისი შედეგის GPAისთან შესაბამისობის შესახებ.

46. მაგისტრატურის საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის, ბაკალავრის დიპლომის არქონის შემთხვევაში, რა დოკუმენტით ხდება მისი ჩანაცვლება?

ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობით, სადაც დადასტურებული იქნება, რომ აპლიკანტს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

47. დოქტორანტურის საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის, მაგისტრის დიპლომის არქონის შემთხვევაში, რა დოკუმენტით ხდება მისი ჩანაცვლება?

ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობით, სადაც დადასტურებული იქნება, რომ აპლიკანტს მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

48. დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებმა როგორ უნდა მოიპოვონ წინასწარი მიღების წერილი?

მოამზადეთ CV და მასპინძელ უნივერსიტეტში საკვლევი გეგმის მონახაზი, გაუგზავნეთ ორივე დოკუმენტი მასპინძელი უნივერსიტეტის თქვენივე მიმართულების რომელიმე პროფესორს და სთხოვეთ თანხმობის წერილის გამოგზავნა.

49. დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებმა, უნდა წარმოადგინონ თუ არა მიღების წერილი ოფიციალური ვერსია?

არა, მეილით მიღებული თანხმობაც საკმარისია.

50. რომელ ფორმატში იგზავნება სააპლიკაციო დოკუმენტები?

PDF ფორმატში.

51. რა სახელები დავარქვათ სააპლიკაციო დოკუმენტებს?

სახელი.გვარი_დოკუმენტის სახელწოდება ინგლისურ ენაზე (მაგ.: Name.Surname_Motivation Letter).

52. საჭიროა დოკუმენტების გადაბმა და ისე გამოგზავნა?

არა, მეილს მიაბით ცალ-ცალკე ფაილებად ატვირთული დოკუმენტები.

53. რა უნდა მიეთითოს მეილს სათაურად?

სტუდენტის სახელი და გვარი, სწავლის საფეხური, გასაუბრების ენა, სასურველი უნივერსიტეტების ჩამონათვალი პრიორიტეტების მიხედვით.

54. იქნება თუ არა შესაძლებელი არასრულყოფილად გაგზავნილი სააპლიკაციო დოკუმენტების შევსება/გასწორება?

არა, დოკუმენტაციის შემოწმება შერჩევის მომდევნო პროცედურაა.

55. სად განთავსდება ინფორმაცია გასაუბრების განრიგის შესახებ?

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მთავარ ვებგვერდზე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის საინფორმაციო დაფაზე.

56. რა ენაზე გაიმართება გასაუბრება?

სტუდენტის მიერ ინსტიტუციონალური ტესტირების დროს ჩაბარებულ ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. ჩვენს შემთხვევაში ინგლისურ ენაზე

57. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა სკაიპით გასაუბრების ორგანიზება?

დიახ, შესაძლებელია. ინფორმაცია მსგავსი საჭიროების არსებობის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს უნდა მიეწოდოს სააპლიკაციო დოკუმენტაციასთან ერთად.

58. ვინ იღებს მონაწილეობას შესარჩევი კომისიის მუშაობაში?

ფაკულტეტების დეკანების მიერ ნომინაციის გზით დასახელებული პროფესორები, რომელთა კანდიდატურებსაც ბრძანებით ამოწმებს ბნსუ-ს რექტორი.

59. როგორ ხდება კონკურსანტის შეფასება კომისიის მხრიდან?

კომისია შეფასების სამი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს:

GPA	0-4 ქულა
მოტივაცია	0-10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია/ენის ცოდნა	0-10 ქულა

60. როგორ ხდება კონკურსის შედეგების შეტყობინება?

კონკურსის შედეგები ქვეყნდება ბნსუ-ს ვებგვერდზე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის საინფრომაციო დაფაზე, დამატებით გამარჯვებულ სტუდენტებს ეგზავნებათ საინფორმაციო მეილები.

61. ტარდება თუ არა გამგზავრების წინა საინფორმაციო შეხვედრა სტიპენდიატებთან?

დიახ, ტარდება - დეკემბერსა და ივნისში.

62. როგორი სტატუსი განესაზღვრება სტუდენტს სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში?

სტიპენდიატებს განესაზღვრებათ გაცვლითი სტუდენტის სტატუსი.

63. გულისხმობს თუ არა გაცვლითი სტუდენტის სტატუსი აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებას ბნსუ-ში?

არა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გაცვლით სტუდენტს საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში უნარჩუნდება აქტიური სტუდენტის სტატუსი მშობლიურ უნივერსიტეტში. ეს იმას ნიშნავს, რომ 100% გრანტის არქონის შემთხვევაში, სტიპენდიატები ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გადიან ბნსუ-ში (იხდიან სემესტრულ გადასახადს).

64. შესაძლებელია თუ არა სტიპენდიის ვადის გახანგრძლივება?

სტიპენდიის ავტომატური გახანგრძლივება არ არის შესაძლებელი. სტუდენტის მხრიდან სურვილის და შესაბამისი დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი თავიდან გადის შერჩევის საფეხურებს ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ გამოცხადებული კონკურსის წესების შესაბამისად.

65. როგორ ხდება მასპინძელ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარება?

უცხოურ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური ნიშნების ფურცლის საფუძველზე.

66. საჭიროა თუ არა მასპინძელ უნივერსიტეტში მიღებული ნიშნების ფურცლის თარგმნა

სავალდებულოა ნიშნების ფურცელი ქართულ ენაზე ათარგმნინოთ და დაამოწმებინოთ ნოტარიული წესით.

67. მასპინძელ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარება

მასპინძელ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (www.eqe.ge)
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გისურვებთ წარმატებებს!

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ მეფის გამზირი №38, მახინჯაური, ბათუმი (6010), საქართველო

ტელ: +995 571 71 17 18

ელ-ფოსტა: erasmusplus@bntu.edu.ge

international@bntu.edu.ge

ბათუმი

2019 წელი